ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ 368

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „1 ოქტომბერი 2018 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აძვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – “ საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთის მხრივ: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კახა კუპატაძე; ს/კ 212693049 ; "სახელმწიფო ხაზინა" კოდი TRESGE22; სახაზინო კოდი 32 04 05 06 01; ქ.ქუთაისი თამარ მეფის №59;ტ 0431 24 53 45;

და მეორეს მხრივ: შპს SKY GROUP . ს/კ 202424769. დირექტორი: ელისო ქეცბაია. მისამართი: თბილისი ი.აბაშიძის №51. სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია". ბანკის კოდი UGEBGE22. ანგ ნომ GE77 VT65 0000 7000 1436 02. ელ.ფოსტა office@skygroup.ge. თელ +995322205220.

(შემდგომში „მიმწოდებელი“შორის

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

CPV 50700000
შესყიდვა ელექტრონული ტენდერი
SPA 180007308

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურეობის საერთო სავარაუდო პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 8 000 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით. დღგ-ს ჩათვლით.

4.2 გასაწევი მომსახურეობის ერთეულის ფასი შეადგენს: პრეისკურანტის ჯამურ ღირებულებას 5 306,29 ლარს დღგ-ს გარეშე

№	დასახელება	გან-ბა	რაო-ბა	პრეტენდენტის მასალის ერთ.ფასი	პრეტენდენტის მომსახურების ერთ.ფასი
1	კონდენსატორი	ცალი	1	61,45	20,48
2	პლატის შეკეთება	ცალი	1	10,24	10,24

3	პლატა ახალი	ცალი	1	122,9	40,96
4	სალენოიდის შეცვლა	ცალი	1	61,45	61,45
5	სალენოიდის კოჭის შეცვლა	ცალი	1	30,72	10,24
6	კომპრესორის თერმოსენსორი	ცალი	1	25,6	10,24
7	პლატის ტრანსფორმატორი	ცალი	1	30,72	20,48
8	გარე ვინტილი	ცალი	1	61,45	30,72
9	გაჟონვის მოძებნა,ლიკვიდაცია	ცალი	1	0	81,93
10	შიდა აგრეგატის ფრთა	ცალი	1	46,09	5,12
11	გარე აგრეგატის ფრთა	ცალი	1	46,09	5,12
12	შიდა აგრეგატის ძრავი 9000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
13	შიდა აგრეგატის ძრავი 12000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
14	შიდა აგრეგატის ძრავი 18000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
15	შიდა აგრეგატის ძრავი 24000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
16	გარე აგრეგატის ძრავი 9000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
17	გარე აგრეგატის ძრავი 12000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
18	გარე აგრეგატის ძრავი 18000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
19	გარე აგრეგატის ძრავი 24000BTU/H	ცალი	1	40,96	10,24
20	პულტი	ცალი	1	20,48	0
21	ძრავის ჩამრთველი ავტომატი	ცალი	1	51,21	20,48
22	კონდენციონერის დემონტაჟი	ცალი	1	0	40,96
23	კონდენციონერის მონტაჟი	ცალი	1	0	81,93
24	კომპრესორი 9000BTU/H	ცალი	1	307,27	51,21
25	კომპრესორი 12000BTU/H	ცალი	1	348,24	51,21
26	კომპრესორი 18000BTU/H	ცალი	1	409,69	51,21

27	კომპრესორი 24000BTU/H	ცალი	1	358,48	51,21
28	კომპრესორი 48000BTU/H	ცალი	1	819,39	51,21
29	კომპრესორი 60000BTU/H	ცალი	1	1143,04	51,21
30	შიდა ბლოკის გაწმენდა	ცალი	1	0	20,48
31	გარე ბლოკის გაწმენდა	ცალი	1	0	20,48
32	ფრეონი	100გრ	1	10,24	0
33	დისპენსერის შეკეთება	ცალი	1	30,72	30,72
34	მაცივრის შეკეთება	ცალი	1	51,21	30,72
				4374,36	931,93
					5306,29

4.3. პრეისკურანტში მომსახურეობის რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველის და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასისი გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში მომსახურეობის რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%.

4.4. მომსახურეობა გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე არსებული კორპუსის სველ წერტილებში: ქ.ქუთაისი თამარ მეფის 59, ტ.ტაბიძის18, კუპრაძის 17, ახალგაზრდობი II შესახვევი,ახალგაზრდობის 98, ჭავჭავაძის 21,შარვაშიძის 53.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განახორციელოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურეობის შესრულება მოთხოვნის შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია შესრულებული მომსახურეობის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.6. მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურეობა შესაძლოა სრულად არ იქნას ათვისებული შემსყიდველის ინტერესებიდან გამომდინარე.

6. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურეობა გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახური

8. მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული მომსახურეობა იქნება ხარისხიანი წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს მომსახურეობის გაუმჯობესობა და მიყენებული ზარალის აღმოფხვრა.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში:

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4. ანგარიშსწორებაზე და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე კონტროლს ახორციელებს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული მომსახურეობის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი

დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ,მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დაშოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი მომსახურეობის ღირებულების 0,02% ოდენობით. და შემსყიდველის მხრიდან 9.2. პუნქტით მას გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასარიცხი თანხის 0,02% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გაადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16,3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16,4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან

16,5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16,6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად სესრულებული სამუშაოს ღირებულება.

17. ᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 02.02.2019. წელი

18.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

ᲨᲔᲛᲡᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ:
ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ
\ᲛᲐᲙᲐ ᲙᲣᲞᲐᲢᲐᲫᲔ\

ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ:
ᲨᲞᲡ SKY GROUP
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ელ. ქეცბაია